შპს წისქვილი ჯგუფი

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

'000 ლარი	შენიშვნა	2018	01.01.2018
აქტივები			
ძირითადი საშუალებები		6,297	4,479
სულ გრძელვადიანი აქტივები		**6,297**	**4,479**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები		1,090	669
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები		60	-
სავაჭრო მოთხოვნები	13	103	106
ფული და ფულის ექვივალენტები	10	1,134	403
სულ მიმდინარე აქტივები		**2,387**	**1,178**
სულ აქტივები		**8,684**	**5,657**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		10	2,310
გაუნაწილებელი მოგება		3,558	1,610
სულ კაპიტალი	11	**3,568**	**3,920**
ვალდებულებები			
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		3	3
მომწოდებლებზე გადასახდელი დავალიანება		799	661
სესხები და კრედიტები		4,231	988
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		83	85
სულ ვალდებულებები		**5,116**	**1,737**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**8,684**	**5,657**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 7 – 17 გვერდამდე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

'000 ლარი	შენიშვნა	2018
შემოსავალი	5	11,563
საოპერაციო ხარჯები (რპთ)	6	(4,401)
თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯები		(2,790)
ცვეთა და ამორტიზაცია		(602)
სხვა ხარჯები	7	(1,704)
შედეგები საოპერაციო საქმიანობებიდან		**2,066**
ფინანსური ხარჯი/შემოსავალი		(118)
წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი	8	**(118)**
მოგება დაბეგვრამდე		**1,948**
მოგების გადასახადის ხარჯი	9	-
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**1,948**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია მათი სახელით:

/ხელმოწერილია/

გიორგი როდონაია
გენერალური დირექტორი

/ხელმოწერილია/

თამარი ნაცვლიშვილი
მთავარი ბუღალტერი

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	**2,310**	**1,610**	**3,920**
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში			
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	1,948	1,948
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(2,300)	-	(2,300)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**10**	**3,558**	**3,568**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 7 – 17 გვერდამდე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

'000 ლარი	შენიშვნა	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
დებიტორების მიერ გადახდილი თანხები		13,653
მომწოდებელზე და თანამშრომლებზე გადახდილი თანხები		(11,580)
წმინდა ფულადი ნაკადები/(გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან		**2,073**
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,145)
საინვესტიციო საქმიანობებშგამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(2,145)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან		
საწესდებო კაპიტალის შემცირებით ფულის გასვლა		(2,300)
შემოსავლები სესხებიდან		3,480
სესხის ძირი თანხის დაფარვა		(305)
გადახდილი პროცენტი		(83)
წმინდა ფულადი ნაკადები /(გამოყენებული) ფინანსური საქმიანობებიდან		**792**
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში		-
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვარს		403
სავალუტო კურსის რყევების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		11
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბერს	10	**1,134**

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 7 – 17 გვერდამდე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

1. საანგარიშგებო ორგანიზაცია

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე კომპანიაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც განვითარებადი ბაზრების მახასიათებლები აქვთ. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები მუდმივად ვითარდება-იხვეწება. ფინანსური ანგარიშგებები ასახავს კომპანიის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს წისქვილი ჯგუფი ("კომპანია") წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. კომპანია დაფუძნდა 2002 წლის 19 სექტემბერს.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა N 99, კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 202200778.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო მომსახურების გაწევა თბილისის მასშტაბით 3 ლოკაციაზე (ბელიაშვილი, ვაკე და წყნეთი).

კომპანია კერძო ფიზიკური პირების მფლობელობაშია.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

ფასს-ის პირველადი გამოყენება

შპს წისქვილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ფასს-ის გამოყენება ხდება პირველად. ფასს-ის სტანდარტებზე გადასვლის თარიღად ითვლება 2018 წლის პირველი იანვარი, შესაბამისად არაა წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია 2017 წელზე.

3. ფუნქციონალური და წარმომადგენლობითი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ლარი (ლარი), რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები.

ლარში წარმოდგენილია ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

4. შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგებების "ფასს"-ის შესაბამისად მომზადებისთვის, ხელმძღვანელობამ უნდა გააკეთოს ისეთი შეფასებები, მსჯელობები და დაშვებები, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება მუდმივად. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც ასეთი ცვლილებები გავლენას მოახდენენ.

ხელმძღვანელობას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ გაუკეთებია ისეთი კრიტიკული შეფასებები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ თანხებზე.

ინფორმაცია დაშვებების ან შეფასებების გაურკვევლობების შესახებ, რომლებსაც გააჩნიათ მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი კორექტირების არსებითი რისკი, მოცემულია 13 შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებები მოითხოვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა განმარტების მიზნებისათვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს საბაზრო მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულებები იყოფა სხვადასხვა დონების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე:

- *დონე 1*: კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2*: მონაცემები, პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასების გარდა, რომლებიც მოიპოვება აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებით, პირდაპირ (ე.ი. ფასები), ან ირიბად (ე.ი. ფასებისაგან წარმოებული).
- *დონე 3*: მონაცემები იმ აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება არსებულ საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი იქნება აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება მთლიანობაში მოხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია წარმოდგენილი, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულებების შეფასებაში გაკეთებული დაშვებების შესახებ მოცემულია მე–14(ა) შენიშვნაში – ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. შემოსავალი

'000 ლარი	2018
სარესტორნო მომსახურება	11,561
სხვა	2
	11,563

6. საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2018
მარაგის ხარჯი	4,375
სხვა საოპერაციო ხარჯი	26
	4,401

7. სხვა ხარჯები

'000 ლარი	2018
კომუნალური მომსახურების ხარჯი	607
საიჯარო ხარჯი	309
მიმდინარე რემონტის ხარჯი	95
სარეკლამო ხარჯები	42
საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯი	30
სხვა	621
	1,704

8. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2018
აღიარებული მოგებაში ან ზარალში	
საპროცენტო შემოსავალი	-
წმინდა შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	-
ფინანსური შემოსავალი	**11**
საპროცენტო ხარჯი	60
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	58
ფინანსური ხარჯები	**118**
წმინდა ფინანსური ხარჯი, აღიარებული მოგებაში ან ზარალში	**(118)**

9. მოგების გადასახადის ხარჯი

კომპანიის მოქმედი მოგების საგადასახადო განაკვეთი შეადგენს 15%-ს.

'000 ლარი	2018
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	-
	-

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან

დაწყებული საგადასახადო პერიოდისთვის ყველა საწარმოს მიმართ, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა.

10. ფული და ფულის ექვივალენტები

'000 ლარი	2018	01.01.2018
ფულის ნაშთი	1,134	403
ფული და ფულის ექვივალენტები ფინანსური მდგომარეობის და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებში	**1,134**	**403**

ფული და ფულის ექვივალენტები ძირითადად განთავსებულია საქართველოს ბანკებში. კომპანია თვლის, რომ კონტრაგენტი შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

11. კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ოდენობას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში.

(ბ) დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ პერიოდულად გამოცხადებული დივიდენდები და გააჩნიათ კომპანიის კრებებზე ხმის მიცემის უფლებები კომპანიაში საკუთრების პროცენტული წილის შესაბამისად.

12. კაპიტალის მართვა

კომპანიის არ გააჩნია კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს სათანადო კაპიტალის ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასევე ბაზრის მონაწილეების ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა კომპანიის შემოსავლების და მოგების უწყვეტი მონიტორინგით და ფულადი სახსრების ეფექტური მართვის გზით.

კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ მოთხოვნებს კაპიტალთან დაკავშირებით.

13. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

'000 ლარი	2018	01.01.2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	103	106
	103	**106**

14. სამართლიანი ღირებულებები და რისკის შეფასება

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, ზემოხსენებული ინსტრუმენტების უმეტესობის მოკლევადიანობის გამო, მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი ;
- ლიკვიდურობის რისკი ;
- საბაზრო რისკი.

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის განსაზღვრის და კონტროლის პასუხისმგებლობა.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განისაზღვრა კომპანიის წინაშე არსებული რისკების დადგენის და ანალიზის, რისკების შესაბამისი ლიმიტების და კონტროლის დადგენის, რისკების მინიტორინგისა და ლიმიტების დაცვის მიზნით. კომპანიის საქმიანობების და საბაზრო პირობების ცვლილებების ასახვის მიზნით, რეგულარულად ხდება რისკების მართვის პოლიტიკის და სისტემების გადახედვა. კომპანია, სასწავლო და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების საშუალებით, მიზნად ისახავს შექმნას დისციპლინირებული და კონსტრუქციული მართვის გარემო, სადაც ყველა თანამშრომელს ექნება გაცნობიერებული თავისი ფუნქციები და ვალდებულებები.

კომპანიის სამეთვაყურეო საბჭო აკონტროლებს როგორ ახორციელებს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პროცედურების დაცვის მონიტორინგს და განიხილავს რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას კომპანიის რისკებთან დაკავშირებით.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ან ფინანსური ინსტრუმენტის მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ქვემოთ ცხრილში მითითებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა.

	საბალანსო ღირებულება	
'000 ლარი	**2018**	**01.01.2018**
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 10)	1,134	403
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	103	106
	1,237	**509**

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

ჯგუფის საკრედიტო რისკის დონეზე ძირითადად გავლენას ახდენს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები. თუმცა ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ დარგისათვის დამახასიათებელ დეფოლტის რისკზე, რომლებშიც კლიენტები აწარმოებენ საქმიანობას, კერძოდ ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების პირობებში.
საკრედიტო რისკის მართვა ხდება კლიენტებისგან წინასწარი გადახდების განხორციელების მოთხოვნის საფუძველზე. კომპანიის სავაჭრო დებიტორული დავალიანებები ძირითადად მოიცავს დავალიანებებს ადგილობრივი კომპანიებიდან. აღნიშნულ დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვა ხდება დებიტორული დავალიანების ნაშთების ყოველთვიური მონიტორინგის და ვალის დაუყოვნებლივ დაფარვის მოთხოვნის გზით, როდესაც ნაშთი მიაღწევს თითოეული ინდივიდუალური კონტრაგენტისთვის დადგენილ კონკრეტულ ლიმიტებს.

კომპანიის კლიენტების 90%-ზე მეტი კომპანიასთან თანამშრომლობს მისი დაფუძნების დღიდან და ზარალი წარმოიშობა იშვიათად. კლიენტის საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს კლიენტები დაჯგუფებულია მათი საკრედიტო მახასიათებლების, მათ შორის ხანდაზმულობის პროფილის, ვადის და წინა ფინანსური სირთულეების არსებობის შესაბამისად.

ზოგადად სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით უზრუნველყოფა არ მოითხოვება.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას შეექმნება სირთულეები თავისი ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას, რომელთა ანგარიშსწორებაც ხდება ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით ითვალისწინებს შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფას, რომ კომპანიას ყოველთვის ჰქონდეს თავისი ვალდებულებების დასაფარად სათანადო ლიკვიდური სახსრები, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ სიტუაციებში, მიუღებელი ზარალის დაშვების და კომპანიის რეპუტაციის რისკქვეშ დაყენების გარეშე.

კომპანია ირწმუნება, რომ აქვს საკმარისი ფულადი სახსრები იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში დაფაროს მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯები სამი თვის განმავლობაში, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურებები; ეს გამორიცხავს საგანგებო გარემოებების შესაძლო ზემოქმედებას, რომლის წინასწარ პროგნოზირება შეუძლებელია, როგორიცაა სტიქიური უბედურებები.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო საბოლოო ვადა ანგარიშგების თარიღისთვის. თანხები არის მთლიანი და არადისკონტირებული და მოიცავს შეფასებული პროცენტის გადახდებს და არ მოიცავს ურთიერთჩათვლის ხელშეკრულებებს.

კომპანია ლიკვიდურობის რისკის მართვაში იყენებს დაფარვის ვადების ცხრილებს. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კონტრაქტის მიხედვით გადახდილი უნდა იქნას ანგარიშგების თარიღიდან, კერძოდ 2018 წლის 31 დეკემბრიდან არაუგვიანეს ექვსი თვის განმავლობაში (გარდა ბანკიდან აღებული სესხებისა). ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსური ვალდებულებებიდან ფულადი სახსრების გადინების ვადა არ აღემატება ერთ წელს.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლილებები საბაზრო ფასებში, როგორიცაა გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის კურსი, გავლენას ახდენს კომპანიის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის მოცულობის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, შემოსავლის ოპტიმიზების გზით.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს გაყიდვების, შესყიდვების ოპერაციების წარმოებასთან და სესხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის დენომინირებული ლარში. აღნიშნული ოპერაციები ძირითადად დენომინირებულია აშშ დოლარში და ევროში.

(v) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები ძირითადად გავლენას ახდენს სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებული განაკვეთის ვალი) ან სამომავლო ფულადი ნაკადების (ცვალებადი განაკვეთის ვალი) ცვლილების საფუძველზე. ხელმძღვანელობას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს რა მოცულობით უნდა განაწილდეს კომპანიის რისკი ფიქსირებული ან ცვლადი საპროცენტო განაკვეთების მქონე სესხებში. თუმცა ახალი სესხის ან ახალი კრედიტის აღებისას, ხელმძღვანელობა გადაწყვეტს იქნება თუ არა ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთი უფრო ხელსაყრელი კომპანიისთვის მოსალოდნელ პერიოდში - დაფარვამდე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხები და კრედიტები არის მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტი.

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით

კომპანია არ ასახავს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს, სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ან როგორც გასაყიდად არსებულს. შესაბამისად საპროცენტო განაკვეთების ცვლილებას ანგარიშგების თარიღისთვის არ ექნებოდა გავლენა მოგებაში ან ზარალში ან

კაპიტალში.

15. გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები

(ა) დაბეგვრასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალურ დოკუმენტებში და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოებს არ შეუძლიათ დამატებითი გადასახადების, ჯარიმების ან საურავების გადახდის ვალდებულებების დაკისრება თუ იმ წლის დასრულებიდან, როდესაც ასეთი დარღვევა მოხდა, სამი წელია გასული.

ზემოხსენებულმა გარემოებებმა შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები, რომლებსაც საქართველოში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური დოკუმენტების და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავებული იყოს და გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუ აღნიშნული ორგანოები წარმატებით დაასაბუთებენ თავიან პოზიციას, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

(ბ) სასამართლო დავა

საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში კომპანია არის სამართალწარმოების, სასამართლო პროცესებისა და საჩივრების მხარე. ხელმძღვანელობა თვლის, რომ აღნიშნული სამართალწარმოებიდან ან საჩივრებიდან წარმოშობილი საბოლოო ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არსებითად უარყოფით გავლენას არ მოახდენს ფინანსურ მდგომარეობაზე ანუ მომავალი ოპერაციების შედეგებზე..

16. დაკავშირებული მხარეები

(ა) ოპერაციები მთავარ მმართველ პერსონალთან

(i) მმართველი პერსონალის ანაზღაურება

მმართველმა პერსონალმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შეტანილია თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯებში: :

'000 ლარი	2018
ხელფასები და პრემიები	130

17. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა თავდაპირველი ღირებულების საფუძველზე.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება თანმიმდევრულად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან დაკავშირებით.

(ა) შემოსავალი

(i) ტვირთის გადაზიდვის საქმიანობები

შემოსავალი სარესტორნო მომსახურებიდან ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების

სამართლიანი ღირებულებით. სარესტორნო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში შესრულებული მომსახურების პროცენტის მეთოდის.

(ბ) სხვა ხარჯი

(i) საიჯარო გადახდები

საოპერაციო იჯარების შესაბამისად განხორციელებული გადახდები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადაში.

(გ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალ საბანკო დეპოზიტებზე;
- საპროცენტო ხარჯს ფინანსურ ვალდებულებებზე;
- საკურსო სხვაობის მოგება ან ზარალი ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

(დ) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში, ოპერაციების თარიღებისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები, ანგარიშგების თარიღისთვის, გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. ფულად ერთეულებზე საკურსო სხვაობის მოგება ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისისთვის ფუნქციონალურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია მოქმედი საპროცენტო განაკვეთის და გადახდების მიხედვით პერიოდის დასაწყისში და ამორტიზირებულ ღირებულებას შორის უცხოურ ვალუტაში, რომელიც კონვერტირდება ანგარიშგების პერიოდის დასასრულს მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით.

არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც ფასდება თავდაპირველი ღირებულების საფუძველზე, კონვერტირდება ოპერაციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

კონვერტირებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

(ე) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. ის აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის დაკავშირებულია ბიზნესის გაერთიანებასთან ან კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში უშუალოდ აღირებულ ერთეულებთან.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას ან მიღებას დასაბეგრ მოგებაზე ან ზარალზე წლის განმავლობაში, ანგარიშგების თარიღისთვის დადგენილი ან არსებითად დადგენილი საგადასახადო განაკვეთით, და ასევე ყველა მოგების გადასახადის კორექტირება წინა წლებთან დაკავშირებით. მიმდინარე გადასახადი აგრეთვე მოიცავს ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას, რომლებიც წარმოიშოება დივიდენდებიდან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების

თარიღამდე. აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდისთვის ყველა საწარმოს მიმართ, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთა მიმართაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს კორპორატიული მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, არამედ კორპორატიული მოგების გადასახადის დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე, ანუ ძირითად საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერების / პარტნიორების მიმართ დივიდენდების სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა ზოგიერთი სხვა ოპერაცია აგრეთვე ჩაითვლება განაწილებულ მოგებად, მაგალითად, არასაბაზრო ტრანსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადებისგან გათავისუფლებულ პირთან აგრეთვე განიხილება განაწილებული მოგებად კორპორატიული მოგების გადასახადის მიზნებისთვის. გარდა ამისა, საგადასახადო ობიექტი ითვალისწინებს ხარჯსა და სხვა გადახდებს, რომელიც არ არის დაკავშირებული საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან, უფასო მიწოდებასთან და ლიმიტზე გადაჭარბებულ წარმომადგენლობით ხარჯებთან.

დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი კორპორატიული მოგების გადასახადი ფასდება როგორც ხარჯი იმ პეიოდში, როდესაც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, როდესაც მოხდა დივიდენდების გადახდა.
საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს კორპორატიული მოგების გადასახადის დარიცხვას კონკრეტულ ოპერაციებზე, რომელიც არ არის დაკავშირებული საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან, უფასო მიწოდებასთან და ლიმიტზე გადაჭარბებულ წარმომადგენლობით ხარჯებთან. კომპანია თვლის, რომ ასეთი ოპერაციის დაბეგვრა სცილდება ბასს 12-ის - *მოგების გადასახადები* - ფარგლებს და აღნიშნულ გადასახადს ასეთ ერთეულებზე მიიჩნევს გადასახადებად, მხოლოდ არა მოგებაზე.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის არსიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ გააჩნიათ განსხვავება აქტივების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის და აღნიშნულიდან გამომდინარე, არ წარმოიშობა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები.

წინა პერიოდებში დარიცხული საგადასახადო ზარალი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მომავალ დაბეგვრად მოგებასთან მიმართებით.

(3) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შემდეგ კატეგორიებში: სესხები და კრედიტორული დავალიანებები და ფული და ფულის ექვივალენტები.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები – აღიარება და აღიარების შეწყვეტა

კომპანია თავდაპირველად აღიარებს სესხებსა და დებიტორულ დავალიანებებს, მათი წარმოშობის დღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარება ხდება თავდაპირველად გარიგების დღისთვის, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

კომპანია არ აღიარებს ფინანსურ აქტივებს მას შემდეგ, რაც ამოიწურება სახელშეკრულებო უფლებები ფულად ნაკადებზე აქტივებიდან, ან იგი გადასცემს ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით იმ გარიგებაში, რომელშიც ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი რისკისა და ანაზღაურების გადაცემა ხდება. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც იქმნება ან იწარმოება კომპანიის მიერ,

აღიარებულია ცალკე აქტივად ან ვალდებულებად.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს აღიარებული თანხების ჩათვლის იურიდიული უფლება და სურს მოახდინოს ანგარიშსწორება ნეტო საფუძველზე ან მოახდინოს აქტივების რეალიზება და ვალდებულებების დაფარვა ერთდროულად. კომპანიას გააჩნია ჩათვლის იურიდიული უფლება იმ შემთხვევაში, თუ ეს უფლება არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენებზე და განხორციელებადია საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში და კომპანიის და ყველა კონტრაგენტის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

სესხები და დებიტორული დავალიანებები

სესხები და დებიტორული დავალიანებები წარმოადგენს ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდების მქონე ფინანსური აქტივების კატეგორიას, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული აქტივების პირველადი აღიარება ხდება მისი სამართლიანი ღირებულებით პლუს ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველად აღიარების შემდეგ სესხები და დებიტორული დავალიანებები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების ზარალი.

სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში წარმოდგენილია სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, შეზღუდული ნაშთი და ფული და ფულის ექვივალენტები.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალარო და საბანკო ნაშთებს.

(ii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულების კატეგორიაში. ასეთი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით მინუს ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და კრედიტებს, სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებებს და სხვა მიმდინარე ვალდებულებებს.

(iii) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი.

(ზ) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი ფასდება თითოეულ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ ზარალის შემთხვევა დადგა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, და რომ ზარალის დადგომა უარყოფით გავლენას ახდენს აქტივის შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა მოცულობის შეფასება შესაძლებელია სათანადოდ.

ფინანსური აქტივების გაუფასურების დამადასტურებელი ობიექტური მტკიცებულებები მოიცავს შემდეგს:

- გადაუხდელობა ან ვალდებულების შეუსრულებლობა მოვალის მიერ;
- კომპანიისთვის გადასახდელი თანხის რესტრუქტურიზაცია იმ პირობებით, რომელსაც სხვაგვარად კომპანია არ განიხილავდა;
- მინიშნებები მოვალის გაკოტრების შესახებ;

- უარყოფითი ცვლილებები მსესხებლის გადახდის სტატუსში კომპანიაში;
- ცუდი საბაზრო კონიუნქტურა; ან
- არსებული მონაცემები, რომლებიც მიუთითებს კომპანიიდან ფინანსური აქტივების მომავალი ფულადი ნაკადების შემცირებას.

კომპანია აფასებს გაუფასურების ნიშნებს სესხებთან და დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით, როგორც ინდივიდუალური აქტივის, ასევე აქტივებსი ჯგუფის დონეზე. ყოველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხი და დებიტორული დავალიანება შეფასდება კონკრეტულ გაუფასურებასთან დაკავშირებით. ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დებიტორული დავალიანება, რომელიც არ ჩაითვლება გაუფასურებულად, შეფასდება კოლექტიურად გაუფასურებასთან დაკავშირებით, რომელიც მოხდა, მაგრამ არ არის ჯერ დადგენილი. სესხები და დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი, შეფასდება კოლექტიურად გაუფასურებასთან დაკავშირებით მსგავსი რისკის მახასიათებლების მქონე სესხების და დებიტორული დავალიანებების ერთად დაჯგუფების გზით.

კოლექტიური გაუფასურების შეფასებისას კომპანია იყენებს დეფოლტის ალბათობის, დაფარვის ვადების და გაწეული ზარალის მოცულობის ისტორიულ მონაცემებს, რომელიც კორექტირებულია მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო პირობების ხელმძღვანელობის მიერ შეფასების გათვალისწინებით, რომელთა შედეგად ფაქტობრივი ზარალი შესაძლოა აღემატებოდეს ან ნაკლები იყოს იმ მაჩვენებლებზე, რომლებიც შესაძლოა მოსალოდნელი იყოს ისტორიული ტენდენციებიდან გამომდინარე.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალი გამოითვლება როგორც სხვაობა მის საბალანსო ღირებულებასა და აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება რეზერვის სახით სესხებთან და დებიტორულ დავალიანებებთან მიმართებით. გაუფასურებულ აქტივზე დარიცხული პროცენტის აღიარება გრძელდება „დისკონტის გამოთავისუფლებით“. თუ შემდგომი შემთხვევა გამოიწვევს გაუფასურების ზარალის თანხის შემცირებას, გაუფასურების ზარალის შემცირება შებრუნდება მოგებაში ან ზარალში.

(თ) თანამშრომელთა ანაზღაურება

თანამშრომლების მოკლევადიანი ანაზღაურების ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებად საფუძველზე და შედის ხარჯებში გაწეული მომსახურებების შესაბამისად.

ვალდებულება აღიარებულია იმ მოცულობით, რომელიც გადაიხდება მოკლევადიანი ფულადი პრემიების ან მოგებაში მონაწილეობის გეგმების ფარგლებში იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს აღნიშნული თანხა თანამშრომლის მიერ გაწეული მომსახურების შედეგად, და შესაძლებელია ასეთი ვალდებულების სათანადო შეფასება.

(ი) რეზერვები

რეზერვი აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წინა მოვლენის შედეგად, კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის ოდეობა შეიძლება სათანადოდ შეფასდეს, და არსებობს იმის ალბათობა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებელის გადინება. რეზერვები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით დაბეგვრამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების და ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას. დისკონტის გამოთავისუფლება აღიარებულია, როგორც ფინანსური ხარჯი.